



დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01-03 10.01.2023

რექტორი  პ. ხვეციანი



კვლევების ცენტრის
დებულება

ნდ №2-010301-06

ბათუმი

2023



შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები.....	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები	4
მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ფუნქციები, ვალდებულებები. საჯაროობის უზრუნველყოფა. კონფიდენციალურობის დაცვა.....	4
მუხლი 3. ცენტრის თანამშრომლობა ბნსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებთან.....	6
მუხლი 4. ცენტრის დაფინანსების წყაროები. ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.....	6
მუხლი 5. ცენტრის შესაძლო სტრუქტურა.....	6
მუხლი 6. ცენტრის ხელმძღვანელი.....	7
მუხლი 7. ცენტრის დამხარე პერსონალი	8
მუხლი 8. ცენტრის სხვა პერსონალი. მკვლევართა საერთო კრება	9
მუხლი 9. პერსონალის უფლებები და პასუხისმგებლობები	10
მუხლი 10. დებულების დანართები.....	10
მუხლი 11. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა	10
მუხლი 12. დასკვნითი დებულებები.....	11
ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი.....	12

პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დებულების დამტკიცების აქტით;
2. დებულებას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, იურისტი და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება დებულების გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს წესი;
4. დებულებაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. დებულების ორიგინალი (ელ. ვერსიის სახით) ინახება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დებულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. დებულება ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დებულებაში არსებული წესები.

ნორმატიული საფუძვლები

1. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
3. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
4. უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სტანდარტები;
5. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პროცესები (ESG - European Standards and Guidelines);
6. European Standards and Guidelines (ESG-2015)-ის სტანდარტები;
7. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
8. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
9. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
10. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
11. ნდ №2-030101-13 – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
12. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

- შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, ფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უზანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;
- აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
- საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;
- უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს - ხარისხის სისტემა;
- ECTS - კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- ESG - European Standards and Guidelines;
- ENQA - European Network for Quality Assurance;
- სდ - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სტს - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე „კვლევების ცენტრის დებულება“ (შემდგომში - დებულება) ადგენს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) ადგენს კვლევების ცენტრის მართვასა და საქმიანობასთან, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხების ძირითად განმსაზღვრელ წესებს;
2. კვლევების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც იქმნება ბნსუ-ში კვლევითი საქმიანობის ორგანიზების, ამ სფეროში ბნსუ-ს პერსონალისა და სტუდენტთა კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერისა და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების მიზნით;
3. ცენტრი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და მას არ აქვს იურიდიული პირისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები. ცენტრს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ბლანკი და შტამპი/გეგმი ცენტრის დასახელების მითითებით;
4. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ბნსუ-ს მისით, განვითარების სტრატეგიით და პრიორიტეტებით, შინაგანაწესით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, სამეცნიერო საქმიანობის და სხვა მომწესრიგებელი დებულებებით/წესებით, წინამდებარე დებულებით, რექტორის განკარგულებებით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით;
5. ცენტრი თანამშრომლობს როგორც ბნსუ-ს სტრუქტურულ ერთეულთან, ისე ბნსუ-ს გარე პარტნიორებთან - საქართველოს და უცხოეთის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან/სხვ., რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში სამეცნიერო და დარგობრივი კვლევების/პროექტების/პროგრამების/სხვ. შემუშავებასთან და განხორციელებასთან;
6. ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის, პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანების, ფუნქციების, გეგმის, დაგეგმილი ღონისძიებების და სხვ. შესახებ საჯაროა და განთავსდება ბნსუ-ს ვებგვერდზე. ასევე, საჯაროა ინფორმაცია ცენტრის პროექტების და ჩატარებული სამუშაოს შესახებ;
7. ცენტრი ექვემდებარება ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოს და რექტორს როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, ანგარიშვალდებულია ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოსთან და რექტორთან;
7. ცენტრის შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით;
8. ცენტრის რეორგანიზაციის შემთხვევაში ცენტრის საქმიანობის პერიოდში შექმნილი ყველა დოკუმენტი გადაეცემა მის სამართალმემკვიდრეს, ხოლო ლიკვიდაციის შემთხვევაში - ბნსუ-ს არქივს.
9. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და შიდასაუნივერსიტეტო სხვა აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
10. ბნსუ-ს პერსონალი და ამ დებულების რეალიზებაში ჩართული პირები ვალდებული არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შესაძლოა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ფუნქციები, ვალდებულებები. საჯაროობის უზრუნველყოფა. კონფიდენციალურობის დაცვა

1. ცენტრის ძირითადი მიზნები:
 - ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის, საგანმანათლებლო პროცესში სამეცნიერო და დარგობრივი კვლევების შედეგების და თანამედროვე ცოდნის გამოყენების და ახალი ცოდნის შექმნის და გავრცელების ხელშეწყობა;
 - საერთაშორისო სივრცეში ბნსუ-ს ინტეგრირების და ბნსუ-ს საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში საქმიანობის განვითარება, კვლევების და დარგობრივი პრაქტიკული პროექტების განხორციელების გზით;
 - კვლევების აკადემიურ თავისუფლების და აკადემიური ეთიკის კოდექსის დაცვის უზრუნველყოფა;
 - ბნსუ-ს პერსონალის და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარების, ასევე მეცნიერთა და მკვლევართა ახალგაზრთა თაობის მომზადების ხელშეწყობა;
 - ცენტრის და მისი პარტნიორების შესაძლებლობების კონსოლიდაცია, კვლევითი მიღწევების კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
 - ცენტრის საქმიანობის მიმართულებების შესაბამისად დაინტერესებული მხარეებისთვის საკონსულტაციო დახმარების გაწევა (საჭიროებისამებრ).
2. ცენტრი უფლებამოსილია:
 - განხორციელოს ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი და სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს ცენტრის მიზნებიდან და ფუნქციებიდან;
 - თანამშრომლოს საქართველოს და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში;
 - შეიმუშაოს ცენტრის განვითარების, სამოქმედო გეგმები ბნსუ-ს სტრატეგიის, პოლიტიკის, პრიორიტეტების გათვალისწინებით;
 - პროექტების, დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოს, რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს წარუდგინოს წინადადებები ყველა იმ საკითხზე, რომელიც მიეკუთვნება ცენტრის საქმიანობის სფეროს;
 - წინასწარ გაეცნოს ყველა გადაწყვეტილებების და მარეგულირებელი დოკუმენტების პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრის საქმიანობასთან და მოამზადოს განმარტებები და რეკომენდაციები იმ საკითხებზე, რომლებიც მიეკუთვნება ცენტრის კომპეტენციების სფეროს;
 - მოითხოვოს და მიიღოს ცენტრის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი საცნობარო და სხვა მასალები/ინფორმაცია, ცენტრის საქმიანობისთვის აუცილებელი საორგანიზაციო, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ცენტრის უფლებამოსილებების შესრულებისთვის საჭირო ხელშეწყობა;
 - მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვაში, განხორციელებაში და შეფასებაში, სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულებაში;
 - მოახდინოს ბნსუ-ს შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად და ცენტრის სამეცნიერო და კვლევითი პროგრამების/პროექტების განსახორციელებლად პერსონალის და სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების ინიცირება;
 - ბნსუ-ს/ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების საჭიროებებიდან გამომდინარე მოახდინოს ბნსუ-ს ბიუჯეტში (კვლევების დაფინანსების ნაწილში) დაფინანსების რაოდენობის განსაზღვრის და ცვლილებების ინიცირება;
 - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელოს საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა და მიიღოს მონაწილეობა ამ საქმიანობაში;



- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული წყაროებიდან დამოუკიდებლად მოიპოვოს გარე დაფინანსება, დაგეგმოს და დამოუკიდებლად და/ან პარტნიორ-დაწესებულებებთან ერთობლივად განხორციელოს სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევები, რომლებიც შესაბამეა ბნსუ-ს ძირითად პრიორიტეტებს და გათვალისწინებულია ბნსუ-ს პარტნიორებთან დადებულ ხელშეკრულებებით;
- განხორციელოს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა, ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის მითითებული წინამდებარე დებულებაში, მაგრამ მიეკუთვნება ცენტრის საქმიანობის სფეროს, არის ნებადართული საქართველოს კანონმდებლობით და არ ეწინააღმდეგება ბნსუ-ს წესდებსა და პრიორიტეტებს.

5. ცენტრის ფუნქციები:

- ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში კვლევითი და დარგობრივი/პრაქტიკული პროექტების შესრულება და პარტნიორი ორგანიზაციების ამ მიმართულებების საქმიანობაში ბნსუ-ს პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- კვლევითი საქმიანობის პირობების შექმნა ამ მიმართულებით ბნსუ-ს განვითარების მიზნით;
- ბნსუ-ს სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და რეკომენდაციების შემოქმედება;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობა;
- სასწავლო პროცესში მეცნიერების მიღწევების დანერგვის და ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- ბნსუ-ს პროექტებისთვის დონორების მოძიება, ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში პარტნიორების მოძიება ერთობლივი საგრანტო პროექტების განხორციელების მიზნით;
- ინფორმაციის მოძიება და გავრცელება ბნსუ-ს პარტნიორ-დაწესებულებათა და სხვა იურიდიულ/ფიზიკურ პირთა მიერ დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციების/სემინარების, პროექტების/პროგრამების ან სხვ. შესახებ;
- ბნსუ-ში კვლევების ეფექტიანობის და ბნსუ-ში მომზადებული სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფა;
- კვლევებში და სხვადასხვა პროექტებში ბნსუ-ს პერსონალის და სტუდენტების ჩართვა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების ხელშეწყობა;
- ბნსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების კონსულტირება და მათთვის დახმარების გაწევა: სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობისთვის დაფინანსების წყაროების მოძიებაში, საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან კონტაქტების დამყარებაში; საგრანტო განაცხადის და განაცხადის ბიუჯეტის შედგენის და წინასწარი შემოწმების, დონორებთან/პარტნიორ-ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმართვის და საქმიანი წერილობითი კომუნიკაციის დამყარების, დონორებისთვის/პარტნიორ-ორგანიზაციებისთვის/სხვ. ანგარიშების მომზადების, წინასწარი შემოწმებისა და სწორად წარდგენის მიმართულებით; არსებული საჭიროებების და პრობლემების შესწავლის, გადაჭრის გზების დასახვისა და ბნსუ-ს ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციის მეშვეობით.
- დასკვნის/რეკომენდაციის მომზადება პარტნიორი დაწესებულებების ან სხვა იურიდიული/ფიზიკური პირების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ან პრაქტიკულ სემინარებში/კონფერენციებში/სხვ. ბნსუ-ს სახელით ბნსუ-ს პერსონალის, სტუდენტის ან მათი ჯგუფის მონაწილეობის/მოხსენებით გამოსვლის მიზანშეწონილობის და დაფინანსების თაობაზე;
- ცოდნის გავრცელების მიზნით კონფერენციების, სემინარების, პრეზენტაციების და სხვ. ღონისძიებების ჩატარება, სამეცნიერო კრებულებთან/პარტნიორ-ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმართვის და საქმიანი წერილობითი კომუნიკაციის დამყარების, ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს თანამონაწილეობით გამოცემული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის/კრებულის/სხვ. სარედაქციო კოლეგიის საქმიანობის საორგანიზაციო, საინფორმაციო და ტექნიკური უზრუნველყოფა, სარედაქციო კოლეგიის დოკუმენტების მომზადება და შესაბამისი საქმისწარმოება;
- დასკვნის მომზადება ბნსუ-ს მიერ ინიცირებული სამეცნიერო კონფერენციების/სემინარების მოწყობის და პროგრამების/პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობაზე;
- სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევების, დარგობრივი პროექტებისა და სხვ. განხორციელების მიზნით საქართველოს და უცხოეთის ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება, პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულებაში ბნსუ-ს პერსონალის და სტუდენტების ჩართვა;
- მონაწილეობა მოლაპარაკებათა პროცესში, რომელიც ეხება ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს მონაწილეობით სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი პროექტის განხორციელებას;
- ბნსუ-ში კვლევითი/დარგობრივი პროექტის განხორციელების ადმინისტრირება: პროექტის შესრულების შუალედური და დასკვნითი ანგარიშების მიღება, შემოწმება და შენახვა, საგრანტო დაფინანსების ხარჯვის კონტროლი და გასაწევი/გაწეული ხარჯების მიზნობრიობის შემოწმება;
- საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი ცენტრის საინფორმაციო რესურსების შექმნა და რეგულარული შეცვლა-განახლება;
- ბნსუ-ს და ცენტრის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი პროგრამების/პროექტების შედეგების და ბნსუ-ს და მისი პერსონალის ავტორობით/თანავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების რეესტრის შექმნა;
- კომპეტენციის სფეროს შესაბამისად საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, კომერციული საქმიანობის განხორციელება, რომელიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით და არ ეწინააღმდეგება ბნსუ-ს წესდებს;
- ცენტრის და ბნსუ-ს პოპულარიზაცია;
- ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების გაძლიერება და სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ბნსუ-ს ამ მიმართულებით განვითარებას;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, არასაჯარო (კონფიდენციალური) ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა;
- წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული, ასევე სხვა ფუნქციების შესრულება, რომელიც არ არის მითითებული წინამდებარე დებულებაში, მაგრამ მიეკუთვნება ცენტრის საქმიანობის სფეროს.

6. ცენტრი ვალდებულია საქმიანობა წარმართოს ამ დებულების და ბნსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად;

7. საჯაროობის უზრუნველყოფა და კონფიდენციალურობის დაცვა:

- ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის, პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების, სამოქმედო გეგმის, დაგეგმილი სხდომების, ღონისძიებების და სხვ. შესახებ საჯაროა და განთავსდება ბნსუ-ს ვებგვერდზე. ასევე, საჯაროა ინფორმაცია ცენტრის პროექტების და ჩატარებული სამუშაოს შესახებ;
- ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის პერსონალი და კვლევაში ჩართული პირები ვალდებულნი არიან არ გაავრცელონ, არ გაასა-



ჯარო და მესამე პირებს არ გადასცენ ინფორმაცია, რომელიც მიღებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, წარმოადგენს სახელმწიფო ან ბნსუ-ს კომერციულ საიდუმლოებას.

8. ცენტრის პასუხისმგებლობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ბნსუ-ს მიერ დადებული ხელშეკრულებებით, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრის საქმიანობის სფეროსთან. ასევე, ცენტრი პასუხისმგებელია:

- წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ფუნქციების დროულად და სათანადოდ შესრულებაზე;
- ბნსუ-ს პრიორიტეტებთან ცენტრის საქმიანობის შესაბამისობაზე და ამ საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე;
- ცენტრისთვის გადაცემული რესურსების სწორად გამოყენებაზე;
- ცენტრის მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხზე;
- ბნსუ-ში კვლევების აკადემიურ თავისუფლების და აკადემიური ეთიკის კოდექსის დაცვაზე.

მუხლი 3. ცენტრის თანამშრომლობა ბნსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებთან

1. ცენტრის საორგანიზაციო-საინფორმაციო, ადმინისტრაციულ, მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ და სხვა უზრუნველყოფას ახდენენ ბნსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;

2. ცენტრი:

- თანამშრომლობს ბნსუ-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულთან: მაგ., საფინანსო სამსახურთან - ცენტრის საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ საფინანსო საკითხებზე, სამეურნეო სამსახურთან - მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებზე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან - სამტატო განრიგის, ვაკანსიების და კონკურსების საკითხებზე, იურიდიულ სამსახურთან - ცენტრის საქმიანობის სამართლებრივ ასპექტებზე, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან - უცხოელი პარტნიორების და საერთაშორისო პროექტების მოძიების და განხორციელების ნაწილში, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან - ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ნაწილში და ა.შ.;
- თანამშრომლობს ფაკულტეტთან სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფორმატში, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისა და ცენტრის საქმიანობის შედეგების იმპლემენტაციის მიმართულებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციის და კვლევითი და ინოვაციური პროექტების განხორციელებაში სტუდენტების ჩართულობის მიმართულებით და სხვ.;
- ბნსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას, მაგ., მონაცემებს ბნსუ-ს პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ, სტატისტიკურ ინფორმაციას სხვადასხვა კვლევებში/პროექტებში ბნსუ-ს პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობის, გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ინფორმაციას მომავალი სამეურნეო წლის განმავლობაში ცენტრის საქმიანობით მისაღები თანხების სავარაუდო მოცულობის შესახებ და ა.შ.;

მუხლი 4. ცენტრის დაფინანსების წყაროები. ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

1. ცენტრის დაფინანსების წყაროებია: ბნსუ-ს ბიუჯეტიდან მიღებული ფიქსირებული დაფინანსება და თვითდაფინანსება ცენტრის მიერ სხვადასხვა პროექტების/პროგრამების/სხვ. განხორციელების შედეგად. ასევე, დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს: ბნსუ-ს პარტნიორთა კრების მიერ გამოყოფილი სუბსიდიები, დონორებისგან და სხვადასხვა ორგანიზაციისგან მიღებული გრანტები/დაფინანსება, შემოწირულობები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მესამე პირის მიერ ცენტრისთვის გადაცემული და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსება;

2. ცენტრი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მისი ფინანსური საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა (გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა);
- უზრუნველყოს დაფინანსების და გახარჯული თანხის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ცენტრის კვლევებში ჩართული პირებისათვის;
- გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია ბნსუ-ს საფინანსო სამსახურს შემდგომი ანგარიშის მოსამზადებლად, რევიზიის საწარმოებლად და სხვა, დებულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის და ბნსუ-ს საფინანსო სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს შემაჯამებელი ანგარიში, სადაც აისახება მოთხოვნის მომენტისათვის და/ან წლის განმავლობაში ცენტრის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა, ყველა დაფინანსების წყარო, მიღებული დაფინანსების ოდენობა, ხარჯების მიზნები, ოდენობა და ვადები და პასუხი გასცეს ყველა წარმოქმნილ შეკითხვაზე;

3. ცენტრი არ აწარმოებს დამოუკიდებელ ფინანსურ ოპერაციებს (აღნიშნულს ასრულებს ბნსუ-ს საფინანსო სამსახური). ცენტრის საქმიანობით მიღებული შემოსავალი ირიცხება ბნსუ-ს საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 5. ცენტრის შესაძლო სტრუქტურა

1. ცენტრის ხელმძღვანელობას ახორციელებს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია ცენტრის ფუნქციების შესრულებაზე და კოორდინაციას უწევს ცენტრის პერსონალის საქმიანობას;

2. ცენტრის სტრუქტურაში შეიძლება შეიქმნას დამხმარე ქვესტრუქტურული ერთეულები:

- ადმინისტრაციული ქვესტრუქტურული ერთეული (მაგ., სამდივნო/სხვ.), რომელიც უზრუნველყოფს ცენტრში საორგანიზაციო-საინფორმაციო და ცენტრის საჭიროებიდან გამომდინარე სხვა სამუშაოს შესრულებას. ყველა დამხმარე ქვესტრუქტურული ერთეული ექვემდებარება ცენტრის ხელმძღვანელს, მისი პერსონალი ანგარიშვალდებულია ცენტრის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან;
- სამეცნიერო-კვლევითი და/ან დარგობრივი ქვესტრუქტურული ერთეულები (მაგ., დეპარტამენტები/მიმართულებები/სხვ.), რომლებიც ხელმძღვანელობენ ცენტრის წინამდებარე დებულებით, ბნსუ-ს სტრატეგიით, პრიორიტეტებით და სამოქმედო გეგმებით, უფლებამოსილი არიან შეიმუშაონ წინადადებები კვლევის/დარგობრივი პროექტების თემატიკის თაობაზე, დადგინილი გეგმის შესაბამისად განხორციელონ შესაბამისი საქმიანობა, გამოიყენონ მიღებული საშუალებები/სახსრები.;
- ქვესტრუქტურული ერთეულების შექმნის ინიციატორი შეიძლება იყოს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს ცენტრის შეზღვევაში ქვესტრუქტურული ერთეულების შექმნის მიზანშეწონილობის, ამ ქვესტრუქტურების პერსონალის რაოდენობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების პირობების და სხვ. შესახებ;
- ქვესტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-



კანცლერი; სამეცნიერო და დარგობრივი ქვესტრუქტურების შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი ითვალისწინებს აკადემიური საბჭოს შესაბამის რეკომენდაციას;

- ქვესტრუქტურული ერთეულ(ებ)ის პერსონალი ექვემდებარება ცენტრის ხელმძღვანელს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე, ადმინისტრაციული ქვესტრუქტურული ერთეულის პერსონალი - ასევე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კანცლერის წინაშე.

მუხლი 6. ცენტრის ხელმძღვანელი

1. ცენტრის ხელმძღვანელი მიეკუთვნება ბნსუ-ს ადმინისტრაციულ პერსონალს;
2. ცენტრის ხელმძღვანელს კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ბნსუ-ს რექტორი. საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება (არანაკლებ დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი), ერთ-ერთი უცხოური ენის (სასურველია - ინგლისური ენის) არანაკლებ B2 დონეზე ფლობა, 5-წლიანი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დოკუმენტურად დადასტურებული გამოცდილება (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მაგ., გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო საგრანტო/სხვ. პროექტების მომზადების და/ან განხორციელების გამოცდილება, დოქტორანტების ხელმძღვანელობა ან სხვა ფორმით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა). ცენტრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც ბნსუ-ს აკადემიურ პერსონალი, ისე ცენტრის ხელმძღვანელობის მიზნით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი;
3. ცენტრის ხელმძღვანელი უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში: შეაფასოს არსებული მდგომარეობა, შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები და წინადადებები; მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება ცენტრის საქმიანობას; გასცეს განკარგულება, მისცეს მითითება და რეკომენდაცია ყველა მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს;
4. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია იცოდეს ბნსუ-ს მისია, სტრატეგია, პრიორიტეტები, სტრუქტურა, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ქვევის წესები, ცენტრის სამოქმედო გეგმა, წინამდებარე დებულება, თანამდებობრივი ინსტრუქცია (არსებობის შემთხვევაში), ცენტრის და საკუთარი ფუნქციები, დაქვემდებარების/ანგარიშვალდებულებების სისტემა და უზრუნველყოფის ცენტრის გამართული მუშაობა და ცენტრის ფუნქციების შესრულება;
5. ცენტრის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია: ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების შესრულებაზე, აკადემიური ეთიკისა და აკადემიური თავისუფლების დაცვაზე, ცენტრის საქმიანობის ორგანიზებაზე და ფუნქციონირებაზე; ცენტრის მუშაობაზე, შრომითი დისციპლინის დაცვაზე, მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე; გასაწევ მომსახურებასა და ხარისხის სისტემასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრაზე;
6. ცენტრის ხელმძღვანელი:
 - 1) წარმოადგენს ცენტრს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას, პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე და უნდა იყოს კომპეტენტური ცენტრის პერსონალის მიერ შესასრულებელი სამუშაოს საკითხებში;
 - 2) მონაწილეობს ბნსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მომზადებაში, მათ საფუძველზე შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის წლიურ სამოქმედო გეგმას;
 - 3) უზრუნველყოფს ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ს წესდების და შიდა ნორმატიული აქტების და ბნსუ-ს მართვის ორგანოების (სუბიექტების) გადაწყვეტილებების შესრულებას;
 - 4) ხელმძღვანელობს მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს;
 - 5) გეგმავს ძირითად სამუშაოებს ცენტრის ფუნქციების განხორციელებისათვის;
 - 6) კონტროლს და კოორდინირებს უწყვეტ ცენტრისა და ცენტრის პერსონალის საქმიანობას;
 - 7) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
 - 8) თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ ბნსუ-ს შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
 - 9) ამზადებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერ დროს - რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის დავალებით;
 - 10) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესება/სრულყოფასთან, ცენტრის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს;
 - 11) ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, ცენტრის თანამშრომლების წახალისების და სხვ. შესახებ;
 - 12) ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შუამდგომლობს იმ მოწყობილობების, ინვენტარის, ტექნიკის და სხვ. შეძენაზე/ცენტრისთვის გადაცემაზე, რაც აუცილებელია ცენტრის ფუნქციის შესასრულებლად;
 - 13) ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შუამდგომლობს ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
 - 14) ამზადებს წლიურ ანგარიშს ცენტრის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ, წინამდებარე დებულებაში ცვლილებების, ახალი დებულების, სამოქმედო გეგმის და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების პროექტებს;
 - 15) კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს დასკვნებს/რეკომენდაციებს (მათ შორის ბნსუ-ს მიერ ინიცირებული/სხვ. სამეცნიერო კონფერენციების/სემინარების მოწყობის, პროგრამების/პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე) და ა.შ.;
 - 16) მონაწილეობს მოლაპარაკებათა პროცესში, რომელიც ეხება ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს მონაწილეობით სამეცნიერო, კვლევითი, დარგობრივი პროექტის/პროგრამების განხორციელებას;
 - 17) უზრუნველყოფს საქართველოს და უცხოეთის ორგანიზაციებთან ბნსუ-ს კავშირების დამყარებას სამეცნიერო, კვლევითი, გამოყენებითი, დარგობრივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;
 - 18) ახორციელებს კვლევითი/დარგობრივი პროექტის განხორციელების ადმინისტრირებას (შესრულების შუალედური და დასკვნითი ანგარიშების მიღებას, შემოწმებას), საგრანტო დაფინანსების და გასაწევი/გაწეული ხარჯების მიზნობრიობის შემოწმებას;
 - 19) ახორციელებს ბნსუ-ს შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), ამ დებულებით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და რექტორის ბრძანებებით განსაზღვრულ/მისთვის დელეგირებულ ფუნქციებს და მოვალეობებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, მაგრამ დაკავშირებულია ცენტრის საქმიანობის და მისი მართვის სფეროსთან.
7. ცენტრის ხელმძღვანელის ვაკანსიის ან ცენტრის ხელმძღვანელის ხანგრძლივი არყოფნის (ხანგრძლივი ავადმყოფობა, მკურნალო-



ბა, მივლინება, სხვ.) პრობლემაში ცენტრის საქმიანობაზე პასუხისმგებელი ხდება რექტორის ბრძანებით დროებით დანიშნული ცენტრის თანამშრომელი, რომელსაც აქვს ცენტრის გაძლიერების კომპეტენცია, ან სხვა პირი, რომლის კომპეტენციები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები) არ უნდა იყოს ცენტრის ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე ნაკლები;

8. ცენტრის ხელმძღვანელი/მოვალეობის შემსრულებელი ექვემდებარება აკადემიურ საბჭოს, ყოველდღიურ საქმიანობაში - ბნსუ-ს რექტორს, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 7. ცენტრის დამხარე პერსონალი

1. ცენტრის დამხარე პერსონალს (შემდგომში - პერსონალს) მიეკუთვნება პროექტების მენეჯერი და სამდივნოს თანამშრომელი - ცენტრის მდივანი, რომელსაც კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი;

2. პროექტების მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება (არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი); ინგლისური ენის ფლობა (არანაკლებ B2 დონე); ანალოგიური ფუნქციის შესრულების გამოცდილება ან საგრანტო/სხვ. პროექტების მომზადების გამოცდილება ან ბნსუ-ს კვლევების ცენტრში/საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში სტაჟირების წარმატებით გავლა (ცენტრის ხელმძღვანელის/სამსახურის ხელმძღვანელის შესაბამისი რეკომენდაცია); საკომუნიკაციო და ტექნიკური უნარები. ბნსუ უფლებამოსილია დააზუსტოს მითითებული და/ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროექტების მენეჯერი ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:

- 1) ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში პარტნიორების მოძიება ერთობლივი საგრანტო პროექტების განხორციელების მიზნით, ასევე ბნსუ-ს პროექტებისთვის დონორების მოძიება;
- 2) ინფორმაციის მოძიება და გავრცელება ბნსუ-ს პარტნიორ-დაწესებულებათა და სხვა იურიდიულ/ ფიზიკურ პირთა მიერ დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციების/სემინარების, პროექტების/პროგრამების ან სხვ. შესახებ;
- 3) ბნსუ-ში კვლევების ეფექტიანობის, ბნსუ-ს პერსონალის და კვლევებში ჩართული სტუდენტების კვალიფიკაციისა და ბნსუ-ში მომზადებული სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის ხარისხის გაზრდა;
- 4) კვლევებში და სხვადასხვა პროექტებში ბნსუ-ს პერსონალის და სტუდენტების ჩართვა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების ხელშეწყობა;
- 5) ბნსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების კონსულტირება სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული პროექტების/პროგრამების დაფინანსების წყაროების მოძიებაში, საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან კონტაქტების დამყარებაში;
- 6) ბნსუ-ს პერსონალისა და სტუდენტებისთვის დახმარების გაწევა საგრანტო განაცხადის და განაცხადის ბიუჯეტის შედგენის და წინასწარი შემოწმების, დონორებთან/პარტნიორ-ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმართვის და საქმიანი წერილობითი კომუნიკაციის დამყარების, დონორებისთვის/პარტნიორი-ორგანიზაციებისთვის/სხვ. ანგარიშების მომზადების, წინასწარი შემოწმებისა და სწორად წარდგენის მიმართულებით;
- 7) ბნსუ-ში არსებული საჭიროებების და პრობლემების შესწავლა;
- 8) კომპეტენციის სფეროს შესაბამისად დაინტერესებულ პირთა აზრის შესწავლა და მონაცემების პირველადი დამუშავება;
- 9) ცენტრის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო სახის მასალების (ბუკლეტების და სხვა პოლიგრაფიული ნაწარმის) მომზადებაში მონაწილეობა;
- 10) დასკვნის/რეკომენდაციის მომზადება პარტნიორი დაწესებულებების ან სხვა იურიდიული/ფიზიკური პირების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ან პრაქტიკულ სემინარებში/კონფერენციებში/სხვ. ბნსუ-ს სახელით ბნსუ-ს პერსონალის, სტუდენტის ან მათი ჯგუფის მონაწილეობის/მოხსენებით გამოსვლის მიზანშეწონილობის და დაფინანსების თაობაზე;
- 11) ბნსუ-ში/ბნსუ-ს მონაწილეობით კონფერენციების, სემინარების, პრეზენტაციების და სხვ. ღონისძიებების დაგეგმვა/დაგეგმვაში მონაწილეობა, სამეცნიერო კრებულების, მონოგრაფიების, სტატიების, სახელმძღვანელოების მომზადების ხელშეწყობა;
- 12) საქართველოს და უცხოეთის ორგანიზაციებთან კავშირების დამყარებაში მონაწილეობა, პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულებაში ბნსუ-ს პერსონალის და სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა;
- 13) ბნსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებლად ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტების და სხვ. შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდება და დაინტერესებულ პირთა ინფორმირება;

3. ცენტრის მდივანის საკვალიფიკაციო მოთხოვნები: არანაკლებ ბაკალავრიატის სწავლების მეორე აკადემიური წელი; საკომუნიკაციო და ტექნიკური უნარები; ანალოგიური ფუნქციის შესრულების გამოცდილება ან ცენტრში/ბნსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების წარმატებით გავლა (ცენტრის/შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის შესაბამისი რეკომენდაცია); სასურველია ინგლისური ენის ფლობა (არანაკლებ B1 დონე). ბნსუ უფლებამოსილია დააზუსტოს მითითებული და/ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ცენტრის მდივანი ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:

- 1) საორგანიზაციო-საინფორმაციო და ცენტრის საჭიროებიდან გამომდინარე სხვა სამუშაოს შესრულება;
- 2) ცენტრში შემოსული დოკუმენტების, განცხადებების/სხვა საქმიანი ქაღალდების აღრიცხვა, მოწესრიგება, არქივში ჩაბარება;
- 3) შიდასაუნივერსიტეტო კომუნიკაციების უზრუნველყოფა, ცენტრში საინფორმაციო-საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
- 4) ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში მონაწილეობა;
- 5) ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულებისთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დროულად და სწორად მიწოდება;
- 6) გამოკითხვების ჩატარების ორგანიზება, მონაცემების დამუშავება, ცენტრთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება;
- 7) დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზება;
- 8) ცენტრის მონაწილეობით პრესკონფერენციების, ბრიფინგების, ინტერვიუების, სემინარების, ტრენინგების და სხვ. ორგანიზება, ღონისძიებების/პროექტების საორგანიზაციო-საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- 9) ცენტრში/ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის პროექტისთვის ინფორმაციის მომზადება;
- 10) ბნსუ-ს მიერ გამოცემული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის/კრებულის/სხვ. სარედაქციო კოლეგიისთვის გადასაცემად დოკუმენტების მომზადების ორგანიზება და შესაბამისი საქმისწარმოება;
- 11) საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი ცენტრის საინფორმაციო რესურსების შექმნა და რეგულარული შევსება-განახლება;
- 12) ბნსუ-ს და ცენტრის მიერ შესრულებული სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევითი პროგრამების/პროექტების შედეგების და ბნსუ-ს და მისი პერსონალის ავტორობით/თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების რეესტრის შექმნა.

4. ცენტრის პერსონალი ვალდებულია: იცოდეს ბნსუ-ს მისია, პრიორიტეტები, სტრუქტურა, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ქვევის წესები, ცენტრის სამოქმედო გეგმა, წინამდებარე დებულება და თანამდებობრივი ინსტრუქცია (არსებობის შემთხვევაში), ცენტრის



და საკუთარი ფუნქციები, ბნსუ-ში მოქმედი დაქვემდებარების/ანგარიშვალდებულებების სისტემა; პირადად და კეთილსინდისიერად შესრულოს მასზე დაკისრებული/ცენტრის ხელმძღვანელის მიერ დელეგირებული უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა აიღოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე;

5. ცენტრის პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერისა და ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურებრივი დავალებებით;

6. ცენტრის პერსონალის ვაკანსიის ან ხანგრძლივი არყოფნის (ხანგრძლივი ავადმყოფობა, მკურნალობა, მივლინება, სხვ.) პირობებში შესაბამის ფუნქციებს არსრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით განსაზღვრული ბნსუ-ს თანამშრომელი (სამუშაოს შეთავსებისა და კვირაში არაუმეტეს 40 სამუშაო საათის პირობით), რომლის კომპეტენციები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები) არ უნდა იყოს შესაბამისი თანამშრომლისთვის წაყენებულ მოთხოვნებზე ნაკლები (პროექტების მენეჯერის ფუნქცია შეიძლება დროებით შეითავსოს ცენტრის ხელმძღვანელმა).

მუხლი 8. ცენტრის სხვა პერსონალი. მკვლევართა საერთო კრება

1. ცენტრის მკვლევართა შემადგენლობაში მოიაზრება:

- 1) ცენტრის პროექტებში/პროგრამებში და სხვ. მონაწილე ბნსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც სარგებლობს სამეცნიერო პერსონალის სტატუსით;
- 2) სამეცნიერო, ტექნიკური, პრაქტიკული ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნის, საექსპერტო მომსახურების გაწევის, სხვა სამუშაოების შესრულებისა და დამატებითი მოგების მიღების მიზნით მოწვეული (ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე ბნსუ-ში დასაქმებული) შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები - მკვლევარი/სხვ. (კონკურსით შერჩევის/პირდაპირი დაკონტრაქტებით დასაქმების წესს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს ბნსუ-ს აკადემიური საბჭო; შრომითი ურთიერთობები განისაზღვრება ხელშეკრულებებით/კონტრაქტებით/სხვ., სადაც მითითებულია შრომის ანაზღაურების პირობები, სამუშაოს შესრულების ვადები, მოთხოვნები პროდუქციის/მომსახურების ხარისხისადმი და სხვ., რაც გასათვალისწინებელია კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე და წარმოადგენენ დამსაქმებლის და დასაქმებულის ინტერესთა სფეროს);
2. ცენტრის სამეცნიერო/კვლევითი/პრაქტიკული/გამოყენებითი/სხვა პროექტებში/პროგრამებში/საქმიანობაში ჩართული ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი და მოწვეული პირები (შემდგომში - მკვლევარები) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი და წინამდებარე დებულებით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ინდივიდუალური აქტებით და ცენტრის ხელმძღვანელის განკარგულებით და:

2.1. ვალდებულნი არიან -

- 1) იცოდნენ: ბნსუ-ს მისია, პრიორიტეტები, სტრუქტურა, შინაგანაწესი, ქვევის წესები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მომწესრიგებელი წესები, ცენტრის სამოქმედო გეგმა, წინამდებარე დებულემა; ცენტრის და საკუთარი ფუნქციები, დაქვემდებარების/ანგარიშვალდებულებების სისტემა;
- 2) დროულად და ხარისხიანად შესრულონ შრომითი ხელშეკრულების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი და წინამდებარე დებულებით დადგენილი მოვალეობები და პირობები;
- 3) დაიცვან შრომითი დისციპლინის და შინაგანაწესის, ქვევის წესების, ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები;
- 4) აქტიურად მოიძიონ ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებათ სამუშაოს შესრულებაში, შეისწავლონ სხვადასხვა ალტერნატიული წყაროები და აწარმოონ დაკვირვებები, სწორად შეადგინონ კვლევის მოდელი, სწორად განსაზღვრონ სამუშაოს ჩატარებისთვის აუცილებელი რესურსები, სამუშაოს სავარაუდო ხანგრძლივობა და მოსალოდნელი შედეგები, საჭიროებისამებრ გაამაგრონ მიღწეული შედეგები (წერილობითი ფორმით, აუდიო-, ფოტო ან ვიდეო ჩანაწერის მეშვეობით), შესრულონ სამუშაო გეგმით დადგენილი აქტივობები და წარადგინონ ანგარიშები მათი შესრულების შესახებ;
- 5) მოამზადონ განხორციელებული საქმიანობის შედეგები ადგილობრივ და საერთაშორისო პუბლიკაციებში გამოსაცემად, აგრეთვე ბნსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებლად;
- 6) გადასცენ ბნსუ-ს სამეცნიერო/სხვ. შედეგები, რომლებიც იყო შექმნილი ბნსუ-სთან დადებული შეთანხმების და ბნსუ-სგან მიღებული დაფინანსების ან ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით;
- 7) დაიცვან აკადემიური თავისუფლების და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები;
- 8) დაიცვან სამუშაოს შესრულების განრიგი და ვადები;
- 9) სრულად და დროულად მოამზადონ და ცენტრის ხელმძღვანელს გადასცენ შუალედური (ეტაპობრივი) და საბოლოო (დასკვნითი) ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ, გაითვალისწინონ ცენტრის ხელმძღვანელის საორგანიზაციო, საინფორმაციო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები;
- 10) რექტორის მოთხოვნისთანავე მოამზადონ და წარმოადგინონ ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- 11) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოთხოვნისთანავე მოამზადონ და წარმოადგინონ ანგარიშები მიღებული დაფინანსების გამოყენების შესახებ;
- 12) დაიცვან არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობა (სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოება);
- 13) იცოდნენ, რომ ბნსუ-ს სასარგებლოდ სამუშაოს შესრულებისას მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო და/ან სხვა უფლების დარღვევის შემთხვევაში მას ეკისრება პასუხისმგებლობა და ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

2.2. უფლებამოსილი არიან -

- 1) გაეცნონ ბნსუ-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების პროექტებს, რომლებიც ეხება მის საქმიანობას;
- 2) შეიმუშაონ და წარადგინონ წინადადებები მათი ვალდებულებებთან დაკავშირებული სამუშაოების სრულყოფისათვის;
- 3) მიიღონ სტრუქტურული ერთეულებიდან ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 4) მიიღონ მონაწილეობა ცენტრის საქმიანობის შეფასებაში, ცენტრის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში და სამოქმედო გეგმების შედგენაში;
- 5) მოითხოვონ აკადემიური თავისუფლების დაცვა, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება, შრომის სათანადო პირობების შექმნა და დახმარების გაწევა თავისი ვალდებულებებისა და უფლებების შესრულებისათვის;
- 6) ბნსუ-ს შესთავაზონ სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული პროექტები/პროგრამები;
- 7) დამოუკიდებლად განსაზღვრონ სამეცნიერო კვლევის შინაარსი, აირჩიონ სამეცნიერო კვლევების მეთოდები და საშუალებები,



რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს და უზრუნველყოფენ კვლევების მაღალ ხარისხს;

- 8) ჩარევის გარეშე განახორციელონ კვლევა, გამოაქვეყნონ კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას;
- 9) აღიარებულ იქნან სამეცნიერო და/ან სამეცნიერო-ტექნიკური შედეგების ავტორად და ბნსუ-ს სახელით წარადგინონ განაცხადი გამოგონებებზე და ინტელექტუალური საქმიანობის სხვა შედეგებზე;
- 10) მიიღონ საქმიანობის ობიექტური შეფასება, კვალიფიკაციისა და შესრულებული საქმიანობის შესაბამისი ანაზღაურება;
- 11) მიიღონ მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;
- 12) მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო/დარგობრივ დისკუსიებში, კონფერენციებში და სხვ.;
- 13) მიიღონ მონაწილეობა საგრანტო დაფინანსების კონკურსებში, ისარგებლონ ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით, მიიღონ დამატებითი დაფინანსება;
- 14) წარადგინონ განაცხადი კონკურსზე ბნსუ-ს ბიუჯეტიდან სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, სხვ. პროექტის დაფინანსების მიზნით, მიიღონ მონაწილეობა კონკურსებში მიზნობრივი დაფინანსების მიღებისთვის;
- 15) წარადგინონ განაცხადი სხვა ორგანიზაციებიდან დაფინანსების მიღების და საერთაშორისო სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ პროექტებში მონაწილეობის მიზნით (საზღვარგარეთ სტაჟირება, მივლინებები, სხვ.);
- 16) ჰქონდეთ წვდომა საჯარო სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვ. ინფორმაციასთან;
- 17) გამოაქვეყნონ თავისი საქმიანობის შედეგები, თუ ისინი არ მოიცავენ სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოს შემცველ ინფორმაციას;
- 18) აკადემიური საბჭოს თანხმობის შემთხვევაში განახორციელონ საქმიანობა, რომელიც არ შედის ცენტრის სამოქმედო გეგმაში;
- 19) განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამეწარმეო საქმიანობა;
- 20) შექმნან მკვლევართა საერთო კრება, რომელიც:
 - წარმოადგენს მათ ინტერესებს და ხელმძღვანელობს აკადემიური თავისუფლების, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის და უშვებლობის, გადაწყვეტილებების სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებით;
 - არის კოლეგიალური ორგანო, იკრიბება მხოლოდ საჭიროებისამებრ (განცხადება სხდომის ჩატარების მოთხოვნის, თარიღის, დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ უნდა გაკეთდეს მინიმუმ 05 კალენდარული დღით ადრე (გარდა შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო ვადის დაცვა შეუძლებელია) - ინფორმაციის ბნსუ-ს ვებგვერდზე განთავსებით ან ელ.ფოსტით გაგზავნით;
 - თითოეული სხდომისთვის თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს, გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), სხდომაზე დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას ყველა სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით (სხდომაზე კრების წევრის დასწრება სავალდებულო არ არის, თუ იგი წერილობით ან ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით დააფიქსირებს თავის პოზიციას დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით). გადაწყვეტილება ფორმდება საოქმო წესით, ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი;
 - უფლებამოსილია: შეიმუშაოს და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს კვლევების ახალი პერსპექტიული მიმართულებები, ცენტრის სამოქმედო გეგმის, მათ შორის მოქმედ გეგმაში ცვლილებების, პროექტები; შეაფასოს ცენტრის მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა; შექმნას სამუშაო ჯგუფები, კონკრეტული სპეციფიკური საკითხის შესწავლის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექსპერტები და განიხილოს მათი ანგარიშები; განიხილოს ყველა საკითხი, რომელიც ეხება სამეცნიერო/კვლევით/პრაქტიკულ/სხვ. საქმიანობას, აკადემიურ თავისუფლებას და აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ცენტრის მიმდინარე და სამომავლო საქმიანობას, შეიმუშაოს და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები;

3. მკვლევართა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი და წინამდებარე დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), აკადემიური საბჭოს და რექტორის გადაწყვეტილებებით.

მუხლი 9. პერსონალის უფლებები და პასუხისმგებლობები

1. დასაქმებულ პირს აქვს უფლება: გაეცნოს ბნსუ-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების პროექტებს, რომლებიც ეხება მის საქმიანობას; წარუდგინოს ხელმძღვანელობას წინადადებები მის ვალდებულებებთან დაკავშირებული სამუშაოების სრულყოფისათვის; მიიღოს სტრუქტურული ერთეულებიდან მისი ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები; მოითხოვოს ხელმძღვანელობისაგან შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება, შრომის სათანადო პირობების შექმნა და დახმარების გაწევა თავისი თანამდებობრივი ვალდებულებებისა და უფლებების შესრულებისათვის;
2. დასაქმებული პირი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას და შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. მის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება: შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, შრომითი ხელშეკრულებით, წინამდებარე დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში) დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება; შრომითი დისციპლინის, შრომის შინაგანაწესის, ქცევის წესების, ეთიკის კოდექსის დაცვა; ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვა; არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

მუხლი 10. დებულების დანართები

1. წინამდებარე წესის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 11. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე დებულება საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალი და დებულებით გათვალისწინებული პროცესების/პროცედურების განხორციელებაში ჩართული და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესების უზრუნველყოფაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.



მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, აკადემიური საბჭო, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;
3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
4. დებულების მუხლებს წანამდგრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
5. დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/შათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
7. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი